სხვადასხვა გზით

კუიბიშევი. “დინამოს” სტადიონი, 19 სექტემბერი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) _ “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

“კრილია სოვეტოვი”: კოტლიაროვი, მაიოროვი, გ. სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი, ვერბოვსკი, ივანოვი, ვ. სახაროვი, არიაპოვი, ბ. კაზაკოვი, ჟუკოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, იამანიძე, დათუნაშვილი, გ. ნოდია (ასათიანი), მესხი.

მსაჯი პ. სტრენცისი (რიგა).

დუბლიორები _ 1:0 “კრილია სოვეტოვის” სასარგებლოდ.

მატჩის პირველი ნახევრის მიხედვით მინდორზე ძალთა შეფარდება თანაბარი იყო. თბილისელთა მთავარ იარაღს _ ტექნიკას მასპინძლებმა სწრაფი, მანევრული თამაში დაუპირისპირეს და ვინაიდან ორივე მხარე უაღრესად კორექტულად მოქმედებდა, შეხვედრა სანახაობრივად ლამაზი და ეფექტური გამოდგა.

“დინამო” თავის “გენერალურ ხაზს” მსუბუქად და ელეგანტურად ავითარებდა. იგი იერიშებს ხან ფლანგებიდან წარმართავდა, ხან კი ცენტრალური “დერეფნიდან”, სადაც მორიგეობით შედიოდნენ გ. ნოდია, მესხი და დათუნაშვილი. ასეთ დროს ფლანგებზე ადგილს განაპირა მცველები იკავებდნენ, რომლებიც კარში დარტყმასაც არ ერიდებოდნენ.

მასპინძლების ტაქტიკა უფრო მარტივი და შესაძლოა, რაციონალურიც იყო: “ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის”. მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ასეთი დევიზით თამაში ფიზიკურად უაღრესად კარგად მომზადებულ გუნდს შეუძლია. ჩემი აზრით, თბილისელთა ტექნიკურ უპირატესობა მასპინძლების სწორედ მაღალმა ფიზიკურმა წრთობამ გააწონასწორა.

პირველ ტაიმს მეტოქეები დაახლოებით თანაბრად უნდა “დაემდურონ”. ჯერ იყო და ბ. კაზაკოვმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა, შემდეგ კი პეტრიაშვილის უძლიერესი დარტყმა ოსტატურად მოიგერია კოტლიაროვმა. ეს იყო და ეს.

თამაშის გარეგნული მხარე არც მეორე ნახევარში შეცვლილა, ოღონდ სტუმრები დაიღალნენ და მასპინძლებიც სულ უფრო ხშირად უშვებდნენ ტექნიკურ წუნს. როგორც ხედავთ ძალთა თანაფარდობა არც ამჯერად დარღვეულა.

გოლი, რომელიც 51-ე წუთზე კუიბიშეველებმა გაიტანეს, უფრო მეტად დაუდევრობის შედეგი იყო, ვიდრე შეცდომისა. რეხვიაშვილმა ნელა მიუგორა ბურთი თავის მეკარეს, მაგრამ ეს მან იმდენად ზერელედ გააკეთა, რომ, ალბათ, თვითონაც გაოცდა, როცა კოტრიკაძეზე ადრე ბურთთან არიაპოვი მიიჭრა. ამ გოლის გატანა კუიბიშეველისთვის სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

მაგრამ 4 წუთის შემდეგ წონასწორობა აღდგა. თუ არიაპოვი თავის წარმატებას უმთავრესად სისწრაფეს (ესეც ხომ მაღალი ფიზიკური მომზადების შედეგია) უნდა უმადლოდეს, დათუნაშვილის საპასუხო გოლი თბილისელების ტექნიკური ოსტატობის ნაყოფი გახლდათ. როგორც ხედავთ მეტოქეები სხვადასხვა გზით, მაგრამ მაინც სამართლიან თანაფარდობას მიადგნენ და რა გასაკვირია, რომ შეხვედრაც ფრედ დამთავრდა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 20 სექტემბერი, 1967 წ.